

ინტერნეტის გამოყენება სამუზეუმო მენეჯმენტში

სალომე მიქაბერიძე

სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებათა
და ხელოვნებისფაკულტეტზე (შესაბამისი)
მაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიეროხელმძღვანელი: იური მღებრიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2014

სარჩევი

აბსტრაქტი	2
თავი I ინტერნეტი და კულტურის სფერო	3
1.1 ინტერნეტის მნიშვნელობა და როლი	3
1.2 ინტერნეტის გამოყენება კულტურის ორგანიზაციებში	8
1.3 21-ე საუკუნის მუზეუმები	9
თავი II ინტერნეტის გამოყენება სამუზეუმო მენეჯმენტში	14
2.1 ვებ-გვერდი, როგორც მუზეუმის დაწინაურების არხი	14
2.2 საქართველოს მუზეუმები ინტერნეტ სივრცეში	20
2.3 კვლევის მეთოდოლოგია და არსებული მდგომარეობის ანალიზი	24
2.4 რეკომენდაციები	30
დასკვნა	33
გამოყენებული ლიტერატურა	

აბსტრაქტი

სწრაფად განვითარებადმა გარემომ გარდაუვალი გახადა ცვლილებები კულტურის ისეთი ორგანიზაციებისთვის, როგორცაა მუზეუმები. თანამედროვე სამუზეუმო

სტანდარტებმა დააკისრა ახალი ფუნქციები და გარკვეულწილად შეცვალა მათი საქმიანობის მიმართულება. მუზეუმების სრულყოფილი მოღვაწეობის აუცილებელ ელემენტად იქცა აქტიური კონტაქტი მომხმარებლებსა და პარტნიორებთან, ინფორმაციის გავრცელებისა და ორგანიზაციის კარგი იმიჯის შექმნით.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის სწრაფმა ზრდამ და საზოგადოების მასზე დამოკიდებულების ხარისხმა განაპირობა ინტერნეტის, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალების როლის გაზრდა. მუზეუმებისთვისაც გაჩნდა ახალი, უამრავი შესაძლებლობის მქონე ვირტუალური სივრცე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი გახდა მარკეტინგული მიქსის ერთ-ერთი ელემენტის დაწინაურების განსახორციელებლად.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, სადიპლომო ნაშრომი „ინტერნეტის გამოყენება სამუზეუმო მენეჯმენტში“ განსაზღვრავს მუზეუმებისათვის ვებ-გვერდის მნიშვნელობას, მის დანიშნულებასა და ფუნქციებს. კვლევა დაფუძნებულია ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის სტატისტიკურ ანალიზზე, განხილულია მსოფლიო მუზეუმების ვებ-გვერდების მაგალითები, წარმოდგენილია საქართველოს მუზეუმების ვებ-გვერდების კვლევისა და მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი. ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომელიც მუზეუმებს დაეხმარება შექმნან ოფიციალური ვებ-გვერდი და უზრუნველყონ მისი სრულყოფილი ფუნქციონირება.

ძირითადი თემატურის აძიების იტყვეები: მუზეუმი, ვებ-გვერდი, პროდუქტის დაწინაურება, კულტურის მარკეტინგი.